

საკანონმდებლო მაცნე

ცვლილება
კანონში

გვერდი 1

ცვლილება
ბრძანებაში

გვერდი 3

ცვლილება
დადგენილებაში

გვერდი 5

ცვლილება კანონში

საგადასახადო შეღავათები პანდემიასთან დაკავშირებით

საქართველოს პარლამენტის №83-III-Xმპ კანონით 2021 წლის 5 იანვარს ცვლილებები შევიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში. კერძოდ ცვლილება შევიდა 309-ე მუხლის 112-ე 113-ე და 115-ე ნაწილებში და დაემატა 114¹ ნაწილი, რომელთა თანახმადაც:

- ▶ 2020 წლის 1 დეკემბრიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში დამქირავებელი უფლებამოსილია შეიმციროს (ბიუჯეტში არ შეიტანოს) დაქირავებულისთვის გაცემული 750 ლარამდე ხელფასიდან დაკავებული და გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი, თუ ამ დაქირავებულის მიერ ამავე დამქირავებლისგან 1 კალენდარული თვის განმავლობაში მიღებული ხელფასი 1500 ლარს არ აღემატება.
შენიშვნა: აღნიშნული საგადასახადო შეღავათი არ ვრცელდება: საბიუჯეტო ორგანიზაციაზე, საქართველოს ეროვნულ ბანკზე და ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოზე, საწარმოზე, რომლის აქციების/წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი და ამ საწარმოს მიერ დაფუძნებულ/შვილობილ საწარმოზე, თუ ეს საწარმო მის მიერ დაფუძნებული/შვილობილი საწარმოს აქციების/წილის 50%-ზე მეტს ფლობს.
- ▶ გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია 2020 წლის 1 დეკემბრიდან 6 კალენდარული თვის (საანგარიშო პერიოდის) განმავლობაში გაწეული იჯარის/ლიზინგის მომსახურება დღგ-ით დაბეგროს ამ მომსახურების საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის ფაქტობრივად გადახდის საანგარიშო პერიოდში.

სარჩევნი

- ▶ საბადასახადო შეღავათები პანდემიასთან დაკავშირებით
- ▶ დღგ-ის ინსტრუქცია
- ▶ საერთაშორისო კომპანიის მიერ განაწილებული მოგების გადასახადის დეკლარირება
- ▶ დაქირავებულ პირთა რეესტრი
- ▶ დისტანციური საკონტროლო შესყიდვა
- ▶ დღგ-ის გადამხდელისთვის კვალიფიციური / არაკვალიფიციურის სტატუსის მინიჭების შესახებ
- ▶ ცვლილება მთავრობის დადგენილებაში 200 ლარიანი კომპენსაციის გაცემის შესახებ

► 2021 წელს დასადეკლარირებელი ქონების გადასახადისგან გათავისუფლდნენ საქართველოს ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის შესაბამისი კოდების საქმიანობის განმახორციელებელი პირები:

►► 55.1 კოდით (სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები) ან/და 55.2 კოდით (დასასვენებელი და სხვა მოკლევადიანი განთავსების საშუალებები) გათვალისწინებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება;

►► 56.1 კოდით (რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები) გათვალისწინებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება;

►► 56.3 კოდით (სასმელებით მომსახურების საქმიანობები) გათვალისწინებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება;

►► 79 კოდით (ტურისტული სააგენტოები, ტურ-ოპერატორები და სხვა დაჯავშნის მომსახურება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები) გათვალისწინებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება.

შენიშვნა: ამ ნაწილით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათი ვრცელდება იჯარით, ლიზინგით ან სხვა ამგვარი ფორმით გადაცემულ ქონებაზეც, თუ ეს ქონება გამოიყენება ამავე ნაწილით განსაზღვრულ რომელიმე საქმიანობაში.

► საქართველოს ფინანსთა მინისტრს/შემოსავლების სამსახურის უფროსს უფლება აქვს, 2020 წლის ნოემბერსა და დეკემბერში გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის გადახდისთვის კოდექსით განსაზღვრული ვადა გაუგრძელოს არაუგვიანეს 2021 წლის 1 ივლისისა იმ გადასახადის გადამხდელს, რომელიც ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის 55.1 და 55.2 კოდებით გათვალისწინებულ საქმიანობას ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გუდაურში, ხულოს მუნიციპალიტეტში მდებარე კურორტ გოდერძიზე ან მესტიის მუნიციპალიტეტის დაბა მესტიაში. აღნიშნულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს ამ კოდექსით გათვალისწინებული საურავი არ ერიცხება.

309-ე მუხლს ასევე დაემატა 130-ე ნაწილი, რომლის თანახმად საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, იმ გადასახადის გადამხდელებს, რომლებიც ახორციელებენ საქართველოს ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის 55.1, 55.2, 56.1, 56.3 და 79 კოდებით დადგენილ საქმიანობას, ჩამოაწეროს 2020 წლის თებერვალში, მარტში, აპრილსა და მაისში გადავადებული გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი.

ეს პირები ვალდებული არიან საგადასახადო ორგანოს ელექტრონული ფორმით წარუდგინონ აღნიშნული ინფორმაცია, რათა შეუმცირდეთ (ბიუჯეტში არ შეიტანონ) გადავადებული საშემოსავლო გადასახადი.

ასევე განიმარტა, რომ პირი, რომელიც 55.1, 55.2, 56.1, 56.3 და 79 კოდებით დადგენილ საქმიანობასთან ერთად ახორციელებს სხვა ეკონომიკურ საქმიანობას, შემოსავლების სამსახურს დამატებით წარუდგენს ინფორმაციას, იმ საშემოსავლო გადასახადის შესახებ, რომელიც მიეკუთვნება 55.1, 55.2, 56.1, 56.3 და 79 კოდებით დადგენილ საქმიანობას.

ცვლილება კანონში ძალაშია 2021 წლის 7 იანვრიდან.

ცვლილება ბრძანებაში

დღგ-ის ინსტრუქცია

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №326 ბრძანებით 2020 წლის 30 დეკემბერს ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში. ცვლილებით ბრძანებას დაემატა 2021 წლიდან საგადასახადო კოდექსში ამოქმედებული დღგ-ის ახალი რეგულაციების დაბეგვრის ინსტრუქცია. .

ცვლილება ძალაშია 2021 წლის 1 იანვრიდან.

საერთაშორისო კომპანიის მიერ განაწილებული მოგების გადასახადის დეკლარირება

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 დეკემბრის №312 ბრძანებით ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში. კერძოდ, ცვლილება შეეხო 40¹ მუხლს, რომლის თანახმადაც განისაზღვრა საერთაშორისო სტატუსის მქონე კომპანიის მიერ განაწილებული მოგების, მოგების გადასახადით დასაბეგრი განაწილებული მოგების თანხის, შესამცირებელი თანხის გაანგარიშების და დეკლარირების ინსტრუქცია.

ბრძანება ძალაშია 2020 წლის 22 დეკემბრიდან.

დაქირავებულ პირთა რეესტრი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №331 ბრძანებით 2020 წლის 31 დეკემბერს ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში. კერძოდ, დაემატა 11²-ე მუხლი, რომელიც განმარტავს დამქირავებელი პირებისათვის დაქირავებულ პირთა შესახებ ინფორმაციის ასახვის დეტალებს დაქირავებულ პირთა რეესტრში (აწარმოებს შემოსავლების სამსახური).

ცვლილების თანახმად, ინფორმაცია დაქირავებულ პირთა შესახებ შრომითი ურთიერთობის დაწყების, შეჩერების და შეწყვეტის შესახებ შემოსავლების სამსახურს წარედგინება ელექტრონულად ვებგვერდის (www.rs.ge) მეშვეობით.

2021 წლის 1 მარტამდე დამქირავებელმა დაქირავებულ პირთა რეესტრში ინფორმაცია უნდა ასახოს 2021 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით. რეესტრში აისახება დაქირავებულ პირთა შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ▶ დაქირავებული პირის პირადი ნომერი, სახელი და გვარი, სქესი, მოქალაქეობა, დაბადების თარიღი, მობილური ტელეფონის ნომერი.
- ▶ სამუშაო განაკვეთი.
- ▶ სტატუსი – აქტიური, შეჩერებული, შეწყვეტილი:

▶▶ აქტიური სტატუსი ენიჭება დაქირავებულ პირს, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას;

▶▶ შეჩერებული სტატუსი ენიჭება დაქირავებულ პირს, რომელიც დროებით ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, რაც არ იწვევს შრომითი ურთიერთობების შეწყვეტას და ამავდროულად შრომითი ურთიერთობის შეჩერების პერიოდი აღემატება 90 კალენდარულ დღეს;

▶▶ შეწყვეტილი სტატუსი ენიჭება დაქირავებულ პირს, რომელთანაც შეწყდა შრომითი ხელშეკრულება.

▶ სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების თარიღი.


შეწყვეტილი და შეჩერებული სტატუსის ცვლილებისას დამქირავებელი ვალდებულია შესაბამისი ცვლილებები 5 სამუშაო დღის ვადაში ასახოს დაქირავებულ პირთა რეესტრში, ხოლო აქტიური სტატუსის მინიჭებისას ცვლილების რეესტრში ასახვა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს შრომითი ურთიერთობის განახლების თარიღისა.

ცვლილება ძალაშია 2021 წლის 1 თებერვლიდან.

დისტანციური საკონტროლო შესყიდვა

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №11 ბრძანებით 2021 წლის 21 იანვარს ცვლილება მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში, რომლის თანახმადაც საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის წესის დარღვევის ფაქტის გამოვლენის მიზნით, საკონტროლო შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებით, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ პირი ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას.

ცვლილება ძალაშია 2021 წლის 23 იანვრიდან.




დღგ-ის გადამხდელისთვის კვალიფიციური/ არაკვალიფიციური სტატუსის მინიჭების შესახებ

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2021 წლის 15 იანვრის №107 ბრძანებით განისაზღვრა კვალიფიციური და არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსები. არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსი მიენიჭათ შემდეგ პირებს:

- ▶ დღგ-ის გადამხდელად ახლად დარეგისტრირებული პირი, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის მომენტიდან;
- ▶ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი, რომელსაც ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში არ უფიქსირდება გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე გატარებული ოპერაცია (ასეთ შემთხვევაში, მხედველობაში არ მიიღება ოპერაცია, რომლის შესაბამისადაც, გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე გატარებული თანხა 0-ის ტოლია) - არაუგვიანეს შესაბამისი თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.


შესაბამისად, კვალიფიციურ დღგ-ის გადამხდელად ითვლებიან ის დღგ-ის გადამხდელები, ვისაც პირად ბარათზე ბოლო 12 თვის განმავლობაში უფიქსირდებათ გატარებული ოპერაცია.



დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირზე არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში ვრცელდება შეზღუდვა აღნიშნული სტატუსის მოქმედების პერიოდში, რაც გულისხმობს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების (ასევე ნსაფ-ის და საგადასახადო დოკუმენტის) როგორც გამოწერის, ასევე დადასტურების უფლების ჩამორთმევას.

კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის (ხელახლა) მისაღებად და ფაქტურების გამოწერის/დადასტურების/გამოყენების უფლების აღსადგენად საჭიროა განცხადების წარდგენა შემოსავლების სამსახურში.

ცვლილება ძალაშია 2021 წლის 20 იანვრიდან.



მთავრობის დადგენილება

ცვლილება მთავრობის დადგენილებაში 200-ლარიანი კომპენსაციის გაცემის შესახებ

2020 წლის 31 დეკემბრის №829 მთავრობის დადგენილებით ცვლილება შევიდა ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამონვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილებაში. ცვლილების თანახმად განისაზღვრა დახმარების გაცემის წესი, კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილი პირები და კომპენსაციის ოდენობა.

დაქირავებით დასაქმებული პირი 2021 წლის იანვრის თვიდან შეძლებს მიიღოს 200 ლარიანი კომპენსაცია ყოველთვიურად მაქსიმუმ 6 თვის ვადით იმ შემთხვევაში, თუ აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

▶ დაქირავებით საქმიანობას ეწეოდა (მათ შორის, პირს, რომელიც ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო იმყოფება შვებულებაში) 2020 წლის იანვრიდან 2020 წლის ნოემბრის ჩათვლით პერიოდში ნებისმიერ ორ ან მეტ თვეს და ამ პერიოდში იღებდა ხელფასს, რაც დასტურდება დამქირავებლის (გარდა თიზ-ის საწარმოსი, რომელიც არ აკავებს გადასახადს გადახდის წყაროსთან) მიერ სამსახურში

2020 წლის იანვარ – ნოემბრის საანგარიშო თვეების მიხედვით 2021 წლის 1 იანვრამდე წარდგენილი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციით (გარდა პირის ორსულობისა, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის ან ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებაში ყოფნის შემთხვევისა).

▶ 2020 წლის დეკემბრიდან 2021 წლის თებერვლის ჩათვლით პერიოდში ნებისმიერ ერთ ან მეტ თვეს არ იღებს ხელფასს (მათ შორის, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის/შეჩერების გამო).

კომპენსაციის გაცემა წყდება იმ შემთხვევაში, თუ კომპენსაციის მიღების უფლების მქონე პირზე 2021 წლის მარტის ან შემდგომ თვე(ებ)ში დაფიქსირდა 10 ლარზე მეტი ხელფასის გაცემა დამქირავებლის მიერ წარდგენილ განაცემთა შესახებ ინფორმაციაში.

შენიშვნა: ამ პროგრამით გათვალისწინებული კომპენსაციის მიღების მიზნებისთვის დაქირავებულად არ მიიჩნევა პირი, რომელსაც 2020 წლის იანვრიდან 2020 წლის ნოემბრის ჩათვლით პერიოდში ბოლო ხელფასის გაცემა უფიქსირდება საბიუჯეტო ორგანიზაციიდან, საქართველოს ეროვნული ბანკიდან, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოდან და საწარმოდან, რომლის 12 აქციების/წილის 50%-ზე მეტს . ფლობს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკა ან მუნიციპალიტეტი ან ამ საწარმოს მიერ დაფუძნებული შვილობილი საწარმოდან, რომლის 50%-ზე მეტ წილს ეს საწარმო ფლობს.

დამქირავებლის მიერ 2021 წლის 1 იანვრამდე სამსახურში წარდგენილი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის დაზუსტების შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია მიიჩნევა 2021 წლის 1 იანვრამდე წარდგენილად, თუ დაზუსტებას ექვემდებარება მხოლოდ დაქირავებულის პირადი ნომერი, რომელიც არასწორად არის მითითებული და აღნიშნული ინვესტ 200 ლარიანი კომპენსაციის მიღების უფლების დაკარგვას.

მოცემული კომპენსაციის გადახდა დამოკიდებულია დამქირავებლის მიერ შემოსავლების სამსახურისთვის წარდგენილ ინფორმაციაზე. დამქირავებელი 2021 წლის იანვრის თვიდან ექვსი თვის განმავლობაში ყოველი თვის არაუგვიანეს 20 რიცხვისა გადასახადის გადამხდელის პირადი ვებ-გვერდის გამოყენებით ელექტრონულად წარადგენს კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილ პირთა სახელს, გვარს, პირად ნომერს, საკონტაქტო მონაცემებს და საბანკო რეკვიზიტებს.

ცვლილება ძალაშია 2021 წლის 1 იანვრიდან.



მარიამ ხუსკივაძე

Mkhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე

MEnukidze@bdo.ge

▶ ნაიკითხეთ მეტი www.bdo.ge

ეს პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ შპს „ბიდიო“ პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს „ბიდიო“, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო არის საქართველოში რეგისტრირებული შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შებენიერი კომპანიის – “ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის” წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

ბიდიო არის საერთო სავაჭრო სახელი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.